



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ერეკლე კუხიანიძის 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ნოემბრის თვემდე გაწეული მუშაობის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №26-113 დადგენილების დანართი №2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ნოემბრის თვემდე გაწეული მუშაობის შესახებ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ერეკლე კუხიანიძის აქტივობა:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი.
3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი.
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა.
5. სხვა აქტივობები.

2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის საქმიანობა

➤ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომები, განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები

საანგარიშო პერიოდში, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, 2018 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2019 წლის 1-ლ ნოემბრამდე, საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში განვახორციელე შემდეგი სამუშაოები:

2018 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2019 წლის 1-ლ ნოემბრამდე გაიმართა კომისიის 24 სხდომა.

ჩემი ხელმძღვანელობით მოწვეული და ჩატარებული იქნა კომისიის 23 სხდომა. გარემოს დაცვის კომისიის დებულების თანახმად, 1 (ერთი) სხდომა ჩატარებული იქნა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მიერ.

ჩემ მიერ მოწვეულ და ჩატარებულ კომისიის 23 სხდომაზე, განხილული იქნა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული შემდეგი 61 საკითხი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები (მათ შორის, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ცალკეული საკითხები/წინადადებები) - სულ: 12 პროექტი.

კომისიის გადაწყვეტილებით, ის წინადადებები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ არგუმენტირებული დასაბუთების და/ან დოკუმენტაციის გარეშე იქნა წარმოდგენილი, უარყოფითად შეფასდა ან/და დამატებითი შესწავლის მიზნით მათი განხილვა გადაიდო. ფუნქციური ზონების ცვლილებების (მათ შორის, კომისიის მიერ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ან უარყოფითად შეფასებული წინადადებების/პოზიციების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, შესაბამისი სამართლებრივი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 15 ნოემბრის №12-0318319154-03

წერილი და 2018 წლის 12 დეკემბრის №12-0318344134-03 წერილი) - სულ: 2 პროექტი.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 21 დეკემბრის №12-0318355197-03 წერილი).
4. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 12 თებერვლის №12-03190432-03 წერილი).
5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 6 მარტის №12-031906554-03 წერილი და 2019 წლის 6 მარტის №12-031906554-03 წერილი) - სულ: 2 პროექტი.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის ახალ გენერალური გეგმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 3 თებერვალს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოსცა №12 განკარგულება „თვითმმართველ ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაზე გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“, რომლის საფუძველზეც მომზადდა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით. მოქმედი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის აქტუალური გადაწყვეტები შეივსო მრავალი პრინციპული მიდგომით, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ქალაქის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობებს. დოკუმენტი მიიჩნევს რა პრიორიტეტულად მდგრად ურბანულ განვითარებას, მიზნად ისახავს ინკლუზიური, უსაფრთხო და მედეგი საქალაქო სივრცის შექმნას. მწვანე ქალაქის, კომპაქტურობისა და კარგად შეკავშირებულობის კონცეპტუალური მიმართულებების რეალიზებით, იქმნება თბილისის განვითარების მკაფიო სტრატეგია, რომლის შესრულებით შესაძლებელია ქალაქის წინაშე არსებული ურბანული პრობლემების ეტაპობრივი აღმოფხვრა. კომპაქტურობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპის ფარგლებში, დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისებასთან შედარებით, უპირატესობა მიენიჭა განაშენიანებული ტერიტორიების განახლებასა და ინტენსიფიკაციას. წინდახედულობის პრინციპით, შექმნილია საფუძველი იმ პოტენციური საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც, არსებული განაშენიანების განვითარებისა და რეკონსტრუქციის პირობებში, თან ახლავს

განაშენიანების ინტენსივობის ზრდას. ჩარევის შედეგების მინიმუზაციის პრინციპის საფუძველზე, გეგმარებითი გადაწყვეტებით დაცულია არსებული მწვანე ნარგავების სისტემა, საზოგადოებრივი სივრცეები, ჩამოყალიბებული განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი თავისებურებები, განაშენიანებული გარემოს გამართული ფუნქციონირება (საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალური ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, არსებული განაშენიანების ქალაქთმშენებლობითი ღირებულება).

აღნიშნული დოკუმენტით ქალაქის თანაბარი განვითარებისთვის განისაზღვრა თბილისის სხვადასხვა უბანში პოლიცენტრული არეალები. სამომავლოდ, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ მიხედვით განხორციელდება სარეკონსტრუქციო არეალების განახლება და ყოფილი სამრეწველო-კომერციული ტერიტორიების („ბრაუნფილდები“) კონვერსია. შეზღუდვების საშუალებით უზრუნველყოფილია ბუნებრივ და ტექნოგენურ ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიების დაცვა, ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოება, გარდა ამისა, შეიქმნა საშიში გეოდინამიკური პროცესების მიხედვით თბილისის დარაიონების (ლოკალური და წერტილოვანი ზონირების) რუკა.

ასევე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით“ უნდა მოხდეს ახალი მწვანე არეალების შექმნის ხელშეწყობა, რითაც არსებულ მონაცემებთან შედარებით გასამშავდება გამწვანების წილი ერთ სულ მოსახლეზე. ახალი მწვანე არეალების შექმნისა და გამწვანების წილის ზრდის მიზანია, თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს გამწვანებულ არეალებთან წვდომა მთელი ქალაქის მასშტაბით. ზუსტად ამ მიზნით, ფაქტობრივად გამქრალი კულტურული ლანდშაფტის ზონა კვლავ აისახა როგორც წარმოდგენილ დოკუმენტში, ასევე თანდართულ თემატურ რუკებზე. ასევე, ახალ თემატურ რუკაზე დატანილი იქნა ყველა საქალაქო მნიშვნელობის პარკი, სარეკრეაციო ზონები თუ შიდასაუბნო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამწვანებული არეალები. სამშენებლო სივრციდან არასამშენებლო სივრცეში, ექვს მილიონ კვ.მ.-ზე მეტი, ხოლო სარეკრეაციო ზონებში, ჯამში, ოთხ მილიონამდე კვ.მ. ტერიტორია იქნა გადატანილი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „მწვანე ქალაქის“, კომპაქტურობისა და კარგად შეკავშირებულობის კონცეპტუალური მიმართულებით შეიქმნება თბილისის განვითარების მკაფიო სტრატეგია და მისი შესრულებით შესაძლებელი გახდება ქალაქის წინაშე არსებული ურბანული პრობლემების ეტაპობრივი აღმოფხვრა.

თბილისის განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონცეფციით განსაზღვრული კომპაქტურობის იდეა, ტერიტორიის ეკონომიკურად გამოყენებასთან ერთად, გულისხმობს ბუნებრივი რესურსებისა და სარეკრეაციო არეალების შენარჩუნებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების გაუმჯობესებას და სხვა სიკეთეებს.

6. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 26 მარტის №12-03190853-03 წერილი).

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები - სულ: 27 პროექტი.

კომისიის გადაწყვეტილებით, ის წინადადებები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ არგუმენტირებული დასაბუთების და/ან დოკუმენტაციის გარეშე იქნა წარმოდგენილი, უარყოფითად შეფასდა ან/და დამატებითი შესწავლის მიზნით მათი განხილვა გადაიდო. ფუნქციური ზონების ცვლილებების (მათ შორის, კომისიის მიერ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ან უარყოფითად შეფასებული წინადადებების/პოზიციების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, შესაბამისი სამართლებრივი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 22 მაისის №12-031914291-03 წერილი და 2019 წლის 22 ივლისის №12-031920332-03 წერილი) - სულ: 2 პროექტი.

9. „დედაქალაქის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის“ პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის გ. გიგაშვილის 2019 წლის 24 აპრილის №15-031911312-03 წერილი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 4 ივლისის №12-031918594-03 წერილი) - სულ: 2 პროექტი.

დოკუმენტს საფუძვლად უდევს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულებით (შეთანხმებით) ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა შორისაც ერთ-ერთია ნარჩენების მართვა (ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანოების განსაზღვრა, ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება ნარჩენების ხუთსაფეხურიანი სისტემის იერარქიის შესაბამისად და ნარჩენების პრევენციის პროგრამების შემუშავება, ხარჯების ამოღების მექანიზმის შემოღება პრინციპით „დამაბინძურებელი იხდის“, ნაგავსაყრელების კლასიფიკაცია და სხვ.).

დედაქალაქის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“, „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის პირველი აპრილის №160 დადგენილების მოთხოვნებსა და ზოგად პრინციპებს. გეგმით გათვალისწინებული

ლონისძიებები გაწერილია და განხორციელდება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თბილისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა განსაზღვრავს მომავალი ხუთი წლის (2019-2024 წ.წ.) განმავლობაში განსახორციელებელ იმ ღონისძიებებს, რომლებიც მყარ საფუძველს შექმნის ნარჩენების მდგრადი და ეფექტიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის. ამ გეგმით უმჯობესდება თბილისში ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, აღდგენისა და განთავსების პროცესები.

გეგმის ძირითადი მიზნებია:

- მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის პრევენციის ხელშეწყობა;
- მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ უკვე დაიწყო 2018 წლიდან;
- მუნიციპალური ნარჩენების აღდგენის სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და ხელშეწყობა;
- ნარჩენების კონტეინერებთან თბილისის მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- მუნიციპალური ნარჩენების (სეპარირებული და შერეული) შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანობისა და ხარჯთეფექტიანობის გაუმჯობესება;
- დიდი ლილოს ნაგავსაყრელის სისტემების რეაბილიტაცია და უჯრედების დახურვა;
- მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელებიდან მოსალოდნელი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება;
- ნარჩენების მართვის მოსაკრებლის ინსტიტუტი სისტემის დანერგვა;
- სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენების განთავსების სისტემის მოწესრიგება;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის პროცესის მხარდაჭერა, რომელიც ამოქმედდება 2019 წლის ბოლოდან, ხოლო წინა მოსამზადებელი ღონისძიებები განხორციელდა ნარჩენების მართვის ასოციაციასთან ხელშეკრულების გაფორმების სახით, რომლის ფარგლებშიც, ნარჩენების მართვის ასოციაციის წევრი კერძო კომპანიები თავად უზრუნველყოფენ ნარჩენების დახარისხება/სეპარირებას (პლასტმასი, მეტალი, რკინა, მინა, ქაღალდი და სხვა), გატანას და გადაამუშავებას;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ამ მიმართულებითაც ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის სტენდების განთავსება დედაქალაქის სხვადასხვა ცენტრალურ უბნებში.

კომისიამ იმოქმედა რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, დაიცვა საჯაროობის პრინციპი და მაქსიმალურად უზრუნველყო სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცესში დაინტერესებული მხარეების (არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლების) ჩართვა. ამ მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, დოკუმენტის საჯარო მოსმენა გაიმართა ორჯერ - კომისიის 2019 წლის 11 ივნისისა და 2019 წლის 23 ივლისის სხდომებზე.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის

დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები.

11. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის მიზნით გრანტის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, GIZ-მა გამოყო გრანტი 159 400 (ას ორმოცდაცხრამეტი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის განხორციელების მიზნით.

პროექტის ფარგლებში უნდა მოხდეს დაახლოებით 20 ჰექტრამდე ხელოვნური, ძირითადად, ფიჭვის სახეობებისგან ფორმირებული, ტყის კორომების გამოვლენა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება, რათა ხელი შეეწყოს ხელოვნური ტყეების გარდაქმნას ბუნებრივი წარმოშობის ტყეებად, რომელიც, თავის მხრივ, რეზისტენტულს გახდის მათ კლიმატის ცვლილებისა თუ სხვა ნეგატიური ფაქტორების მიმართ.

13. კომისიის სხდომის ფორმატში მოსმენილ იქნა:

- 1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ მიერ 2018 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში (2019 წლის 29 იანვარი (ოქმი №34)).
- 2) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატყეო ტერიტორიებზე არსებული ფიჭვის ხეების დაავადების გამოვლენისა და იდენტიფიცირების ანგარიში (2019 წლის 6 მარტი (ოქმი №37)).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე არსებული ფიჭვის ხეების დაავადების საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სერიოზული ეკოლოგიური პრობლემის წინაშე დგას დედაქალაქი. ძირითადად ხმება შავი ფიჭვი, შედარებით

ნაკლებად ელდარისა და სოსნოვსკის ფიჭვი. ფიჭვების ხმოზა ფიქსირდება როგორც ერთეულად, ასევე ხმოზას კერობითი ხასიათიც აქვს. მართალია, თბილისის შემოგარენში და საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში ფიჭვის ინტენსიური ხმოზა იწყება 1997-1998 წლებიდან, მაგრამ დღეს აღნიშნული პრობლემა უფრო მწვავედ დგას, რადგან დაავადების შეჩერება დღემდე ვერ მოხერხდა. ფიჭვის ხმოზას აქვს რიგი მიზეზები (სხვადასხვა ბუნებრივ კლიმატურ პირობებში გაშენება, რაც ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება მათ ბიოლოგიურ თვისებებს; ხელოვნური გაშენებისას დარღვეული აგროტექნიკური პირობები; ფიჭვის მონოკულტურების გაშენება დაბალი სიხშირის ნორმებით და სხვ.), რასაც დაემატა კლიმატის გლობალური ცვლილებები. ამ ფონზე დაირღვა ფიჭვის ზრდა-განვითარებისთვის საჭირო ეკოლოგიური პირობები, რამაც განაპირობა ფიზიოლოგიური პროცესების და გამძლეობის დაქვეითება, რის შედეგადაც ფიჭვის ნარგავობები მიძღებნი აღმოჩნდნენ მავნებელ-დაავადებების მიმართ.

დედაქალაქის მასშტაბით არსებული ფიჭვის ხეების დაავადების გამოვლენისა და იდენტიფიცირების შემდეგ დღის წესრიგში დადგა შესაბამისი ღონისძიებების გატარების საკითხი (აგროტექნიკური (წამლობა) ღონისძიებები, უკიდურეს შემთხვევაში სანიტარული ჭრები).

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ფიჭვების დაავადების გავრცელების შეჩერების მიზნით, დაწყებულია როგორც დაავადებული ხე-მცენარეების მოჭრის, ასევე, მათი ახალი ხე-ნარგავებით ჩანაცვლების სამუშაოები, რომელშიც, მუნიციპალურ ორგანოებთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: სახელმწიფო ორგანოები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და, რა თქმა უნდა, დედაქალაქის მოსახლეობა. აღნიშნული სამუშაოების ფარგლებში, 2018-2019 წლის საშემოდგომო-საგაზაფხულო რგვებისას, დედაქალაქის სხვადასხვა ტერიტორიებზე, მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ დაირგო ჯამში სხვადასხვა ჯიშის 15 675 ხე-მცენარე.

3) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წელს განხორციელებული ღონისძიებების (სამუშაოების) ანგარიში (2019 წლის 6 მარტი (ოქმი №37)).

14. კომისიის სხდომის ფორმატში, 2019 წლის 29 იანვარს (კომისიის სხდომის ოქმი №34), საკრებულოსა და კომისიის წევრების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ვაკის რაიონის გამგეობის წარმომადგენლების, ასევე, ქალაქ თბილისის, ვაკის რაიონის, სოფელი თხინვალას მიმდებარე დასახლების მაცხოვრებელთა მონაწილეობით შედგა შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებული მუნიციპალური სასაფლაოს მიმდებარედ, სარეკრეაციო ზონაში, თვითნებურად (უნებართვოდ) მოწყობილი სასაფლაოების საკითხი.

15. კომისიის სხდომის ფორმატში, 2019 წლის 21 მარტს (კომისიის სხდომის ოქმი №40) მოეწყო ა(ა)იპ „საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის“ მიერ ა/წლის 19 მარტის №19/031907881-03 წერილით წარმოდგენილი პროექტის - „საქართველოს მევენახეობა-

მელვინეობის გეოინფორმაციული სისტემა და ელექტრონული ატლასი“-ს განხილვა-პრეზენტაცია.

16. ამავე სხდომაზე (21.03.2019წ. ოქმი №40) შედგა შეხვედრა პლასტიკის პარკების მწარმოებლებთან პლასტიკის პარკების წარმოების, იმპორტისა და რეალიზაციის საკითხთან დაკავშირებით.

17. 2019 წლის 10 აპრილის კომისიის სხდომაზე (ოქმი №42) შედგა მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირების სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგების განხილვა.

მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირების საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვის კომისია 2018 წლის ივნისიდან დღემდე აქტიურად განიხილავს მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირებისა და მომავალში ვერეს ხეობის სავარაუდო დატბორვის შესაძლო ნეგატიური შედეგების მინიმუმისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების საკითხს. აღნიშნულ თემაზე კომისიის ინიციატივით შედგა რამდენიმე შეხვედრა როგორც საკრებულოსა და კომისიის წევრების, ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურების, ვერეს ხეობის კალაპოტის ფორმირების პროექტის შემსრულებელი კომპანიების, შესაბამისი დარგის სპეციალისტებისა და მეცნიერ-მუშაკების (გეოფიზიკოსი, ურბანისტი, არქიტექტორი, ინჟინერ-ჰიდროლოგი, ინჟინერ-კონსტრუქტორი და გეოლოგი) მონაწილეობით. სამუშაო შეხვედრების მონაწილე ყველა მხარის შეჯერებული აზრით, საკითხი მეტად აქტუალურია და საჭიროა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ვერეს ხეობის დატბორვის შესაძლო ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომისიის ინიციატივით დაიგეგმა და 2019 წლის 20 მარტს შედგა ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ 2015 წელს შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თხოვნით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ აშენებული ნატანდამჭერი ნაგებობებისა და ასევე, 2015-2016 წლებში, ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ შესყიდული მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირების პირველი და მეორე ეტაპის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერება.

დათვალიერებული იქნა დამოუკიდებელი ექსპერტების შეხედულებით ყველაზე კრიტიკული წერტილები ვარაზისხევის და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელი ჩქაროსნული გზის მონაკვეთიდან (ბილფელდის ქუჩის დასაწყისი) გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ცენტრის მე-12 ფილიალის მიმდებარე პერიმეტრის (ვ. გაბაშვილის ქუჩა) ჩათვლით. დათვალიერების შემდეგ, პირველი რიგის ამოცანად დაისახა შემდეგი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება:

- შესაბამისი სპეციალისტების (ინჟინერ-ჰიდროლოგებისა და კონსტრუქტორების) მიერ მოძებნილ იქნეს ვერეს ხელოვნური კალაპოტის აღნიშნულ მონაკვეთზე ოპტიმალური საინჟინრო გადაწყვეტის გზები;

- წყნეთის ქუჩის მიმდებარედ არსებული საყრდენი კედლის მსგავსად, ამავე მონაკვეთზე დაუყოვნებლივ გამაგრდეს მდინარის მარჯვენა ფერდობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის დამცავი კედლით, რათა წყალმოვარდნისას გამოირიცხოს მისი ჩამოშლა.

კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის შემდეგ, მომზადდა და საკრებულოს წარედგინა 49 დასკვნა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში, ჩემი, როგორც გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით, კომისიამ საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის 1-ლ ნოემბრამდე კომისიაში განსახილველად შემოსული წერილები/განცხადებები

საანგარიშო პერიოდში, 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის 1-ლ ნოემბრამდე კომისიაში შემოვიდა 371 განცხადება/წერილი, რომელზეც შესაბამისი რეაგირება განხორციელდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

- 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის 1-ლ ნოემბრამდე კომისიის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდში, 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის 1-ლ ნოემბრამდე, სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოებიდან, კომისიის მიერ გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაციები - სულ: 8 წერილი.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის საქმიანობა

განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ, 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის 1-ლ ნოემბრამდე ჩატარებული 14 სხდომიდან მონაწილეობა მივიღე 11 სხდომაში. საანგარიშო პერიოდში, კომისიის სხდომებზე განხილული 18 საკითხიდან შევისწავლე და განვიხილე 15 საკითხი.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრის საქმიანობა

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, 2018 წლის წლის ნოემბრიდან 2019 წლის

1-ლ ნოემბრამდე ფრაქციის მიერ ჩატარებული 20 სხდომიდან დავესწარი 17 სხდომას და ფრაქციის სხდომაზე განხილული 21 საკითხიდან მონაწილეობა მივიღე 18 საკითხის განხილვაში.

2019 წლის 27 სექტემბრის ფრაქციის სხდომაზე ჩემ მიერ ინიცირებული იქნა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმირების (დაკომპლექტების) საკითხი არჩევითობის პრინციპით.

საქართველოს ორგანული კანონის „თვითმმართველობის კოდექსის“ 86¹ მუხლის თანახმად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის/რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. ამ კანონის შესაბამისად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ირჩევს და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი/რაიონის გამგებელი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმირების მიზანია თვითმმართველ რაიონში/ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის, თითოეული ამომრჩევლის ჩართვა თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტის პროცესში, რათა ეს პროცესი გახდეს საზოგადოების თვითორგანიზების ნათელი მაგალითი. აღნიშნული წინადადების საფუძველზე, ფრაქციის ამავე სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების საკითხზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ორი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა 2019 წლის 3 და 10 ოქტომბერს.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

➤ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომები

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 49-ე მუხლის შესაბამისად, როგორც გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე დავესწარი საკრებულოს ბიუროს 19 სხდომას (2018 წელი 7 სხდომა, 2019 წელი - 12 სხდომა).

➤ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის წევრი:

- 2018 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჩატარებული 6

საკრებულოს სხდომიდან დავესწარი 5 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 98 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (აქედან, 17 დადგენილების და 81 განკარგულების პროექტის) განხილვა-მიღების პროცესში.

- 2019 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარებული 12 საკრებულოს სხდომიდან დავესწარი 12 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 434 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (აქედან, 75 დადგენილების და 359 განკარგულების პროექტის) განხილვა-მიღების პროცესში.

5. სხვა აქტივობები:

➤ ღონისძიებები:

2018 წლის 20 დეკემბერი - რიყის პარკში, ვერის ბალსა და ვეტერანთა კულტურისა და დასვენების (კიკვიძის) პარკში მიუსაფარი ძაღლებისთვის განკუთვნილი კვების აპარატებისა და ხის სახლების დადგმაში მონაწილეობა.

კვების აპარატებში პლასტმასის 0,5 ლიტრიანი ბოთლის ჩაგდების შემთხვევაში, ძაღლებისთვის საკვები ჩამოიყრება, ხოლო დისპენსერში წყლის ჩასხმის შემდეგ, ცხოველები წყურვილს მოიკლავენ.

კვების აპარატთან ერთად, რიყის პარკში მიუსაფარი ძაღლებისთვის ხის სახლიც დაიდგა.

2019 წლის 18 იანვარი - „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერით, ქ. თბილისის საკრებულოში „თამარ მეფის“ დარბაზში ჩატარდა პროექტ „დავასუფთაოთ საქართველო“-ს ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიალი. გამარჯვებულები გამოვლინდნენ შემდეგ ნომინაციებში: „სუფთა რეგიონი“, „სუფთა მუნიციპალიტეტი“, „სუფთა ქალაქი/დაბა“, „ლამაზი ეზო“ და სხვ.

დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოსა და სომხეთში ულრიკ ტიდესტრომმა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ იური ნოზაძემ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის პირველმა მოადგილემ ზაზა ხუციშვილმა, პროექტის ფარგლებში შექმნილი კომისიისა და პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო ფაზა III“ განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ერთ-ერთი ნომინაციის - "ლამაზი ეზო" გამარჯვებული აკაკი გედენი (ხონის მუნიციპალიტეტი) დავაჯილდოვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის რანგში.

2019 წლის 4 აპრილი - მონაწილეობა მივიღე ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ მსოფლიოს მიუსაფარ ცხოველთა დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში.

ღონისძიების მონაწილე ბავშვებს სოციალური პასუხისმგებლობის წახალისების მიზნით, ცხოველების პატარა მოყვარულებს სტატუსი - „ცხოველების მეგობარი“ მიენიჭა და სერტიფიკატები გადაეცათ. სტუმრებისათვის თავშესაფარში ტური და ცხოველების გაჩუქების აქცია მოეწყო.

მონაწილეობა მივიღე საბავშვო ბაღებში ნეიროპლასტიურობის პროგრამის შეტანის ინიცირების საკითხში. ნეიროპლასტიურობის საპილოტე პროგრამის პრეზენტაცია შედგა **2019 წლის 3 მაისს** ქალაქ თბილისის 74-ე საბავშვო ბაღში. პროგრამა ხორციელდება განათლებისა და კულტურის კომისიის ხელშეწყობით.

აღნიშნული საპილოტე პროგრამა ითვალისწინებს ნეიროპლასტიურობის პროგრამის დანერგვას საბავშვო ბაღებში. ნეიროპლასტიურობის პროექტი ცენტრ „თანადგომის“ მიერ განხორციელდა და მოიცავს ტრენინგებს, ბავშვებთან პრაქტიკულ მუშაობას და შემდგომ, დამოუკიდებლად მუშაობის მონიტორინგს.

➤ შეხვედრები:

2019 წლის 22 თებერვალი - შეხვედრა დაბა წყნეთში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობასთან.

საკითხი: დაბა წყნეთში, გრიგოლ რობაქიძის და აფხაზეთის ქუჩების კვეთაზე არსებულ სპორტულ მოედანზე შესაძლო მშენებლობა.

2019 წლის 20 მარტი - მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირების სამუშაოების ადგილზე დათვალიერება. დათვალიერებაში მონაწილეობდნენ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარისა და სამდივნოს თანამშრომლების გარდა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურების (გარემოს დაცვის და ასევე, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურები) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.

შეხვედრის მიზანი: ვერეს ხეობაში არსებული მდგომარეობის ადგილზე გაცნობა და სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა ვერეს ხეობის დატბორვის შესაძლო ნეგატიური შედეგების მინიმინიზაციისთვის.

2019 წლის 30 მაისი - ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისა და გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მარიკა დარჩიას ინიციატივით შედგა შეხვედრა ქალბატონ დორის დამიანოვიჩთან (აზიის განვითარების ბანკის კონსულტანტი, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი, გენდერის სპეციალისტი).

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ურბანული დაგეგმარებისას გენდერული და გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინების მნიშვნელობაზე. კერძოდ, ევროპის ქალაქების გამოცდილების გაზიარებასა და პარკების დაგეგმარებისას ერთიანი სტანდარტის შემუშავებაზე, რათა დასასვენებელი სივრცე იყოს უსაფრთხო და შშმ პირთა ინტერესებზე მორგებული.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი



ერეკლე კუხიანიძე